

საქართველოს კანონი

“საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. “საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ” საქართველოს კანონში (“საქართველოს რესპუბლიკა”, 1998წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4. სასაზღვრო-გამტარი პუნქტების ფარგლებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს”.

2. 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ა) ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური”.

3. 35-ე მუხლის “მ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

“მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად ან ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან და ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ორგანოებთან ერთად აღკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ფეთქებადი, მომწამვლელი, რადიაქტიური და ნარკოტიკული საშუალებების, იარაღისა და საბრძოლო მასალის, აგრეთვე კონტრაბანდული და სხვა აკრძალული საგნების გადაადგილება და გადატანა”.

4. 35-ე მუხლის “ქ” და “ღ” ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ქ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიწვევითა და მასთან ერთად შეამოწმოს ტრანსპორტი, ტვირთი და სხვა ქონება.”

“ღ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან ერთად ამოიღოს საგნები, რომელთა შემოტანა ან გატანა აკრძალულია, აღკვეთოს კონტრაბანდა.”

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.